



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 02 მარტი

**დისციპლინური საქმე №208/19-1  
მოსამართლე -- -- მიმართ**

**დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 20 დეკემბრის №208 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 იანვრის №45/208-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა №208 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 იანვრის №46/208-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

**1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები**

მოსამართლემ არ გაითვალისწინა მსგავს საქმეებზე -- -- სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, შინაგანი რწმენის გარეშე, არასწორად განმარტა კანონი და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ასევე, -- -- სასამართლოს მოსამართლემ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების კანონით განსაზღვრული ვადა და არ ჩააყენა სასამართლო დავის მონაწილეები თანაბარ პირობებში, რითაც უგულველყო შეჯიბრებითობის პრინციპი.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები**

2.1. საქმეზე -- -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე - -- -- ; დავის ღირებულება -- -- აშშ დოლარი) მიერ 2018 წლის 30 აპრილს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (მოსარჩელე - -- -- ; მოპასუხეები - -- -- , -- -- , -- -- , -- -- , -- -- , -- -- ) სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2018 წლის 08 ივნისს (აპელანტი - -- -- ) და 2018 წლის 13 ივნისს (-- --). სააპელაციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2019 წლის 14 თებერვალს (მოსამართლეები - -- -- , -- -- , -- -- ). აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წლის 27 მარტს -- -- , ხოლო 2019 წლის 02 აპრილს -- -- გაასაჩივრა საკასაციო წესით.

2019 წლის 08 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- . 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი, დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში. 2019

წლის 19 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, მხარეს არ ქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარის ოდენობით.

2019 წლის 25 აპრილს -- -- სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი. 2019 წლის 13 მაისის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში.

2019 წლის 26 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

2019 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა, რომ საკასაციო საჩივრები უნდა განხილულიყო მხარეთა დასწრებით. საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა, 2019 წლის 23 ოქტომბერს, 2019 წლის 15 ნოემბერს, 2019 წლის 21 ნოემბერს და 2019 წლის 04 დეკემბერს. 2019 წლის 04 დეკემბრის განჩინებით -- - და -- -- უარი ეთქვათ საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

2019 წლის 12 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა 2019 წლის 04 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების მოთხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს. -- -- წარმომადგენელს 2019 წლის 04 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩაბარდა 2019 წლის 13 დეკემბერს.

საქმის მასალები, -- -- სასამართლოში გადაიგზავნა 2020 წლის 16 იანვარს.

2.2. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ქონდა 468 სამოქალაქო სამართლის საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 424 საქმის (90.5%) განხილვა.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, საჩივრის ავტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების საკითხს, შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, „საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს ...“

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს საკასაციო საჩივარი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო საქმეზე ჩატარდა რამდენიმე სასამართლო სხდომა. ამის შემდეგ, -- -- სასამართლოს 2019 წლის 04 დეკემბრის განჩინებით -- -- და -- -- უარი ეთქვათ საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე. ზემოთმოყვანილი ნორმების გათვალისწინებით, -- -- სასამართლო (----) უფლებამოსილი იყო მიეღო განჩინება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და შესაბამისად, ის მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. -- -- 2019 წლის 20 დეკემბრის №208 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს №208/19 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**